DRI
დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
Democracy Research Institute

მაისი 2023

საინფორმაციო ბიულეტენი



DRI-ის კოალიციური საქმიანობა

სტატუსმეტრი - როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ევროკომისიის მიერ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად განსაზღვრული 12 პირობის შესრულებაზე დაკვირვებას აგრძელებენ. 9 ორგანიზაციამ მოამზადა შეფასების დოკუმენტი – სტატუსმეტრი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ 2023 წლის 30 აპრილამდე პერიოდში ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, არსებულ მდგომარეობასა და სამომავლოდ განსაზღვრულ ნაბიჯებს ასახავს.

22-25 მაისს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ხელისუფლების მიერ ევროკავშირს წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭირო წინაპირობების შესრულების პროცესს, შეხვედრები გამართეს ბრიუსელში ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოსთვის ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების კუთხით ადვოკატირება.

DRI-ის საქმიანობა მაისში

- 2022 წელთან შედარებით, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ოფიციალური შემოწირულებები შემცირებულია
- რუსეთთან პირდაპირი რეისი - ულტრამემარჯვენე ფლანგის პრორუსულ ფოკუსში
- მუჰაჯირობა საქართველოს მთავრობის პოლიტიკური შეფასების გარეშე
- გალის მეორე საჯარო სკოლაში დირექტორი ბავშვებს აბულინგებს
- ძარის ტრაგედიიდან 31 წელი გავიდა
- DRI მოუწოდებს ხელისუფლებას უმოკლეს ვადაში გაათავისუფლოს თბილისის აეროპორტთან დაკავებული აქციის მონაწილეები
- DRI: საარჩევნო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების მიერ 12 პრიორიტეტის კეთილსინდისიერად შესრულების განზრახვას
- ლგბტქი+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა აფხაზეთში
- DRI ასაჩივრებს შსს-ს უარს 7-8 მარტის აქციების დაშლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდებაზე
- პრორუსული ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ რიტორიკა თანხვედრაშია
- DRI: აფხაზეთის ანექსია რუსეთის ფედერაციის სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებით კიდევ უფრო გამყარდება
- პრემიერის ჰომოფობიური გზავნილები ულტრამემარჯვენე ძალების რიტორიკასთან თანხვედრაშია
- 2023 წელს „კონსერვატიულ მოძრაობას/ალტ-ინფოს“ ყველაზე მეტი შემომწირველი ჰყავს